საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გეგმავს 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

ზემოაღნიშნული საქმიანობა, განეკუთვნება საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას (დანადგარი ქარის ან/და ზღვის ტალღების ენერგიის მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოებისათვის) და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, თუმცა, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის მე 13-ე ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გზშ-ის პროცედურის გავლის თაობაზე..

იქიდან გამომდინარე, რომ გზშ-ის პროცედურის პირველი ეტაპი სკოპინგის პროცედურაა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 50 მგვტ

სიმძლავრის „ზესტაფონის“-ს ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია) - 1 ეგზ.
2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინტები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.

პატივისცემით,

ირაკლი ჯანაშვილი

შპს „ზესტაფონის ქარის ელექტროსადგური“-ს დირექტორი